„ხმა ქართველი ქალისას“ შესახებ

სიხარულით გაცნობებთ ჩვენი სამეცნიერო-პუბლიცისტური ჟურნალის “ხმა ქართველი ქალისას” პირველი ნომრის გამოსვლას. ჩვენი ციფრული ჟურნალი საქართველოში პირველი აკადემიური გამოცემაა ფემინიზმის და გენდერის კვლევებში. მისი შექმნის იდეა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენდერის კვლევების ინსტიტუტის სივრცეში გაჩნდა.

ჟურნალის კონცეფცია და მისი სახელწოდება კავშირშია საუკუნის წინანდელ ინიციატივასთან – გაზეთთან “ხმა ქართველი ქალისა”, რომელიც 1917-1918 წლებში ქუთაისში გამოიცემოდა. ჩვენი ჟურნალის პირველი ნომრის გამოცემა ზუსტად გაზეთის ასი წლის იუბილეს დავამთხვიეთ, რითაც გვინდა ხაზი გავუსვათ იმ მნიშვნელოვან მემკვიდრეობას, რომელიც საქართველოში ფემინიზმს გააჩნია.

გაზეთი “ხმა ქართველი ქალისა” იყო პირველი ფემინისტური პერიოდული გამოცემა, რომელიც მიზნად ისახავდა ქალთა შესახებ აქტუალური საკითხების გახმაურებას, მათზე მსჯელობას, ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა, ქალთათვის პოლიტიკურად მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. გაზეთის გამომცემელი კატო მიქელაძე წერდა: `ჩვენ გაზეთს სახელად დავარქვით `ხმა ქართველი ქალისა” მხოლოდ იმ აზრით, რომ ქართველი ქალიც თანამედროვე საქართველოში თავისი უცხოელი დების ტაფაში იხრაკება და ესეც უერთებს ხმას ამ დიად ისტორიულ მომენტში მთელი ქვეყნის (მსოფლიოს) უფლებისთვის მებრძოლ დებს.” ჟურნალის იდეაც საქართველოში ფემინიზმისა და გენდერის კვლევებში შექმნილი ცოდნის გამდიდრება, გამრავალფეროვნება და ადგილობრივი პერსპექტივის წარმოჩენით მისი ინტეგრაციაა საერთაშორისო ფემინისტურ ნააზრევში, ხოლო ქართველი ქალი არა ეროვნების და ჰომოგენური იდენტობის, არამედ კონკრეტული ისტორიულ-კონტექსტუალური წარსულის, გამოცდილებისა და აწმყოს აღმნიშვნელია.

ამგვარად, სამეცნიერო-პუბლიცისტური ჟურნალი „ხმა ქართველი ქალისა” მიზნად ისახავს მკითხველს მიაწვდინოს ფემინისტი მკვლევრების ხმა – სხვადასხვა აკადემიური დისციპლინების პრიზმიდან დანახული ქალთა და გენდერული საკითხები, ძალაუფლებისა და დომინირების, ჩაგვრისა და გაძლიერების გამოცდილებების ანალიზი.

ჩვენი აკადემიური ჟურნალი გამოვა წელიწადში ორჯერ. გავაკეთებთ განაცხადების მიღებას, ყოველ ნომერს ექნება თემატური მიმართულება. თემატური სტატიების გარდა ჟურნალში დაიბეჭდება განხილვები, ესეები, სიახლეები და ა.შ. სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე.

გვჯერა, რომ ჩვენი გამოცემა მნიშვნელოვან ადგილს დაიმკვიდრებს საქართველოს აკადემიურ სივრცეში და საუკეთესო პლატფორმას შექმნის ცოდნის წარმოებისა და გავრცელებისთვის, როგორც გენდერის კვლევების პროფესორებისა და სტუდენტებისთვის, ასევე სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებისთვის.

ჩვენი იდეის ხელშეწყობისა და განხორციელებისთვის გულითად მადლობას ვუხდით ჩვენს მხარდამჭერებს: ქალთა ფონდს საქართველოში და ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას.

სარედაქციო კოლეგია